


ჩემი (ხორვატი) 23. 10
№ 39 (273)




12 576



გამოშვალე მღვრეარეოზა

— დამავალეს, მოსხენება გავაკეთე მიღწევებზეო... გავაკეთე და... აი რას მივალწიო



საწარმოო გაგების გა-ბა-რ-ბა ზოგინით დაწეგულებაში

„წინდახედული“

მოახლოვდა ხუთწლეულის მესამე წელი.
დაიწყო ბრძოლა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.

ასტყდა განგაში:
„ხუთწლეულისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლაა!

დაიწყო პარტულერებზე საქაგშიო კომუნისტური პარტიის მომართვის დამუშავება.

იწყება მასსების მობილიზაცია სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში გადამწყვეტ გარდატეხის მოსახლენათ.

— ჰადრაკულათ არის ჩემი საქმე—ამობს ვასიკო ბედაურიძე და გამოსავალს იძებს.

მან იცის:
წარმოება, რომელსაც ის განაგებს ძალზე ჩამორჩა.

იცის:
მოხსენებას მოსთხოვენ მის ხუთწლეულის მეორე წლის შესრულების დროს მისი მიღწევების შესახებ.

იცის:—
თუ დღემდის ახერხებდა წამხდარ საქმიდან თავის დატყუარებას, დღეს ამის მოხერხება მისთვის ძნელი იქნება.

— კოკა ხომ ყველთვის წყალს ვერ მოიტანს?!“ — ამბობს ის თავისთვის.

დღეს მას არ დაინდობენ. მოსდგებიან და დაუწყებენ „ჯიჯგინას“. რას არ დასწამებენ მას: ბიუროკრატობას, დაუდევრობას, უმასუსისმგებლობას და სხვა ასეთებს.

მემდეგ კი... მშვიდობით!.. უნდა გამოეთხოვოს იმ უწყებას, რომელსაც ის ტყბილად ხრავდა დღემდის.

მეგრამ!... არა უშვეს!.. ვასიკო უარეს მდგომარეობაში ყოფილა...

მან გამოსავალი ნახა: — ორი თვით საექიმოთ წაეა. ის ხომ „მძინე“ ავადმყოფია: გულის სიფართოვე, „ნეფრასტენია“, და ამ უკანასკნელ დროს „შაქრის“ ავადმყოფობაც კი „აღმოაჩინდა“.

ცგებ ვინმეს ეკვი შეგლით? ინებეთ და შეეცეოხეთ

მას. უსათუოდ დაგაჯერებთ, რომ ის რევოლუციის მსხვერპლია.

რა არ გამოუტლია მას: „მის თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა არაფერი დაკლებია!“, — ლენა, ვადსახლება, შიმშილი, — ყველაფერი გამოსცა-ლა. ამტომ მას სრული უფლება აქვს იეჭიოს.

ორ თვის მას პასუხს ვერავენ მოსთხოვს... ორი თვის შემდეგ კი თვითონ მოსთხოვს პასუხს სხვებს. განა, ის არ ამბობდა, რომ მისთვის თანაშემწეთ არ ზიუცათ დაწინაურებული მუშა, რომელსაც საქმის არაფერი გაუგება?.. განა „უმჯობესი არ იყო მისთვის და-ეტოვებიათ საქმის „სავეც“ ყარამან შეფგულიძე — ყო-ფილი თავადი, მემამულე, პოლიციაში ნამსახური, ერთი სიტყვით „გულით და სულით“ მონარქისტი?!

უხლა თვითონ ავონ პასუხია!..

ვასიკო კისლოვოდსკი ატარებს დროებას: იღებს ნარზანის აბაზანებს, ყოველდღე თავს იწონის, ქალეზშიც ერთობა.

მან ყველაფერი დაივიწყა (ასე ურჩიეს ექიმებმა) გა-ზეთებსაც არ კითხულობს..

დღეს კი რა ეშმაკათ „შეაჩქეს“ მას გაზეთი „კომუ-ნისტი“!

თავის თვლით ნახა და წაიკითხა:
— ...გამგის დაუდევრობამ შეაფერხა გეგმის შეს-რულება, რის გამო წარმოება ჩამორჩა. პასუხისგებაშია მიცემული ყოფილი გამგე ვასიკო ბედაურიძე და მის მა-გიერ დანიშნულია დაწინაურებული მუშა თედო გრდემ-ლიშვილი.

თფუ! Беодраание!!! კაცს საექიმოთ აგზავნიან და სა-მუშაოდან ხსნიან! ასეთ პარტიაში მე არ მოვიციდი! — ბრანზორეულად წამოიძახა ვასიკო ბედაურიძემ და ისე მთვრალ ჩაბლუჯა ხელში გაზეთის ფურცელი, თითქოს ყველაფერი უმანისკნელის ბრალი ყოფილიყო.

სუხმარა.

შეხვედრა

ა ჯ ო ბ ა

მაგნი პირები ხმებს აგრეცლებენ, თითქოს ზოგიერთ პროფკავშირებსა და საწარმოო ორგანიზაციებს შორის არ არსებობს ცოცხალი კავშირი, რაც საზიზღარი ქორი და ცილისწამებაა. აი საბუთი.

იმ დღეს დირექტორი ადრე მოვიდა ქარხანაში. იქნებოდა საათის 11. (საერთოდ 12-ზე ადრე არ დადის).

— ასე ადრე რამ მოგიყვანა, თუმცა მეც ფეხად მოვასწარი, — უთხრა თანაშემწემ.

— რაც ეს ერთპიროვნული მართველობა შემოიღეს, მე მოსვენება აღარ მაქვს. ყველაფერი მე უნდა ვაკეთო, წარმოებაზე მე უნდა ვავალ პასუხი და შრომის დისციპლინაზეც, ისე ვადავწყვიტე, ადრე ვიარო ქარხანაში, — გაჯავრებით სთქვა დირექტორმა და გაზეთის კითხვას შეუღლა.

— რა ექნათ, ამ ხუთწულის შესამე წლის საფინანსო-საბრუნველო გეგმა აღარ შევადგინო? მუშები არ გვაყენებენ, გეგმა ვცინდით.

— რად გინდათ, კაცო ეს გეგმა, — გაჯავრდა დირექტორი, — იმუშაოს ამ ქარხანამ და ენახეთ რა იქნება ბოლოს. წინასწარ გეგმები ვადგინო, რა ვიცი მე რა პროდუქცია გვექნება, ილია წინასწარმეტყველი ხომ არა ვარ!

— როგორც გინდათ, მაგრამ ბოლოს არ გვისაყვედურონ...

დირექტორი დაფიქრდა. ჩაუკვირდა საქმეს. „ორჯერ უკვე მივიღე შენიშვნა და ეხლა ჯობს გეგმა მართლაც შევადგინო, — გაიფიქრა მან.

კაბინეტა ჩაიკეტეს, ბუხპალატურს დაუძახეს და შეუღვენ გეგმის შედგენას.

— ამხანაგო დირექტორო, მუშები მოვიდნენ მოსალაბარაკებლად — შემოვიდა შიკრიკი.

— გეცალონ ცოტა, გეგმას ვადგენთ, რაღა ახლა მოგვადგენ, — გაჯავრდა დირექტორი.

სალამოს უკვე მზად იყო გეგმა, ხოლო დილით ტრესტმა მიიღო იგი, შელამხებული ციფრებით და დიაგრამებით.

— მუშებმა მიიღეს მონაწილეობა ამის შედგენაში? საწარმოო თათბირმა განიხილა? — კითხეს ტრესტში დირექტორს.

— არა... დაიბნა დირექტორი, — მუშებს რათ უნდათ...

— როგორ შეიძლება, ახლავე წაიღეთ და მუშებს შეუთანხმეთ.

— საწარმოო თათბირი და დამკვერელი მუშები ისცილით იმოციბოდნენ, როცა დირექტორს კაბინეტში შედგენილ გეგმას გაუცვენენ.

— რათ, წლიური გამოამუშავება რეაგის ათასი. მანეთის? — რატომ რეაგის და არა მთლიონის!

— შრომის დისციპლინა 90 პრო-



მარაგნა სიკიბოს ახალი მარაგნაში. (ცოცხალი კავშირი პროფკავშირებსა და საწარმოო ორგანიზაციებს შორის).

ცენტით განმტკიცდეს? — რა დაშავდება ასევე პროცენტით რომ განვაძტვიცოთ!

— წუნი მესამელო? რატომ მესამელო და არა მეასელო, ან რა იქნება სულ მოვსოთ ეგ წუნი? გაცდენები 3 პროცენტამდე დავიყვანოთ? —

— აჰ ნუ გეწყინებთ და ვაცდენა საერთოდ უნდა მოვსოთ!

ასეთი ხმები ისმოდა საწარმოო თათბირზე.

— მოლით ჩვენი შემხვედრი გეგმა წავიკითხოთ, იქნება ის ჯობია, — შემოიტანა ერთმა წინადადება. გამოიტანეს გეგმა, მუშების შედგენილი. შუგ სწერია:

„ხუთწულის მე-4 წელში ჩვენი ქარხნის პროდუქციის ლირებულება უნდა უღრიდეს 1.200 მანეთს, შრო-

მის დისციპლინა საესებით განმტკიცდეს, გაცდენები აღმოიფხვრას, წუნი მოისპოს, დაიღვას ახალი დაზღები და ვადამქრელი ვარდატება მოხდეს მუშათა მომარაგებაში“.

— „ვაი, რა განსხვავება ჩვენს გეგმასთან!“ — ამოიხრა დირექტორის თანაშემწემ.

— „არ შეგქამოს ქორმა ეგ არ განმორკველდეს, მაქ თბიერეტიში მიხეზები სულ არ არის მხედველობაში“, — დაუმატა დირექტორმა და თავი დახარა.

— „ვაი რა კაბინეტში ვიყავი შედგენილი და როგორ ვამბობარუეს“, — მწარედ გაიფიქრა კაბინეტის წევრმა, შემხვედრს გზა დაუთმო და დირექტორთან ერთად ვასწია ქარხნის ტრესტი.

ხ უ თ ი ზ ა ხ რ ა კ ი

ღანომ მიზანი სოცშეგვიბრების
ხელად გაიგო და იგრძნო ცხადად,
და სხვებთან ერთად, მან როგორც მუშამ,
თავი დამკვირვებლად გამოაცხადა,

და სიტყვა საქმედ აქცია ხელად
არ დააყოვნა არც ერთი წუთი,
და პირველ დღესვე ნორმალზე ზევით
მან ჩამოასხა ჭახრაკი ხუთი.

—ხუთი ჭახრაკი რა ბედენაა?
ჩვენ თავს ვიტყუებთ უმიზნოთ, ყალბად —
თორემ კომუნას ვინ შექმნის ამით? —
ზოგიერთები იტყვიან ალბად.

მაგრამ მილიონ მასების რიცხვზე
თუ გამრავლდება ის რიცხვი ხუთი,
მაშინ ორჭოფთ და მერყევებს ყველას
დაეკარგება რყევის „საბუთი“.

ან უჭახრაკოთ რას გააკეთებ?
ვსთქვათ, სადმე სოფლად დადგა ტრაქტორი
რადგან ჭახრაკი დააკლდა დიზელს, —
ხომ მოუხნავი დარჩა მინდორი?

ხუთი ჭახრაკი ამ შემთხვევაში
ხუთი მანქანის მავის ცემაა,
ხუთი ჭახრაკი, ნორმალზე მეტი,
სოციალისტურ ზრდის ემბლემაა.

დიდება ვანოს დამკვირვებს შეგნებულს!
მიღწევისათვის ეკუთვნის ქება;
მაგრამ ვანოსგან დარგული ნერგი
მოლაუბების ხელით ფუჭდება. —

მზად გვაქვს ჭახრაკი მაგრამ ამბავი
ცი არ თავდება, ამით იწყება:

დახტა წიგნებში მას გააცილებს
მოლაუბების ურიცხვი წყება.

ჯერ ჩოთქე ნახავს მოანგარიშე
რომ ხუთჯერ ერთი იქნება ხუთი,
შემდეგ დავთარში გასატარებლად
გამოიღება მაგიდის ყუთი.

ხელს კიდებს კალამს და მელანს აწებს
რომ გააკეთოს მიღწევის ჯამი,
დამკვირვლი არის მოანგარიშეც, —
არ ენანება საქმისთვის ჯვანი;

მას ასხენდება რომ ყოველ ნავლიჯს
საფუძვლიანად აღრიცხვა უნდა.
(გამოძიება, დასაბუთება
შეტან - გაწერა განწესით მუდამ).

შალა დავთრები ათასნიშნის
რიცხვათა ააგო მის თავში სვეტი
და ხუთ ჭახრაკის აღრიცხვას იმან
დღე მთავანდომა „რადაც“ თორმეტი.

„სვერსურონიები“ კიდევ სხვა იყო,
ახე მოიქცა „სპეცი“ ძვირფასი,
და მით უფასოთ ჩამოსხმულ ჭახრაკს
ხუთჯერ გაზრდილი დაედვა ფასი.

რომ საჭიროა აღრიცხვა შრომის,
ეს მკითხველებმაც იციან კარგად,
მაგრამ ზომალზე და არა მისთვის
უზღვევ ქალაქის და დროს დაკარგვა!

ვინც მავნებლურად ციფრს ასუხულებს, —
მის „დამკვირვლობას“ ვერ ვეტყვით ქებას!
ჭახრაკებს უნდა კეთება, ძმაო, —
ზიზღი ციფრების „გაჭახრაკებას!“.

მედუზა

გ ა ს ე ი რ ნ ე ზ ა ტ ფ ი ლ ი ს უ ი

ვიცი, რომ კონდუქტორს თუ
ხნდ ჰქონდეს ხურდა, მანეთაანს
ინც არ გადისხურადებებს და ძირს
მოგსვამს.

ჩემთვის კიდევ უკეთესი.
მოვებით ვაგონს და წავედი სასაქი-
ნოდ.

(დიდი ხანია არ გამისერინებია).
გავეიარე ორი „გაჩერება“.

- ბილეთი!
- ვამლეე მანეთიანს.
- ხურდა მომეცი.
- არა მაქვს! — და კონდუქტორი
ბრს აძლევს.
- ჩამორბამანდით!

ჩამოვდივარ.
ვჯდები შემდეგ ვაგონში.
იმამადაც ისეთივე ამბავი.
ვჯდები მესამეში.

იმამადაც ისეთი ამბავი.
ამნაირად სადღურადან ოპერის
ქატრამდე უფასოდ მოვბრძანდი.

(მა, სხვები თუ კი ასე იქცევა, მე რა
ჭრელი გოჭი ვარ?... უკაცრავად, აქ
სასაცილო არაფერია, დღეს ღორს
(და, მაშასადამე გოქსაც) პატივი და
მორიდება აქვს).

სადღურიდან რუსთაველის პროს-
პექტზე გამოსვლას მიზანი იყო —
მენახა კინო ეთერში „კავკასიელი
ტყვე“... უკაცრავად არა კავკასიე-
ლი, არამედ:

„კავკაზიის ტყვე“.

სახკინმრეწვი ყოველთვის ქებული
იყო თარგმნაში და დღესაც ასეთა-
ვეა, წინ თუ არ წასულა, ყოველ
შემთხვევაში, უკან არ დაუხევია. პი-
რდაპირ საოცარია — სად შოულობს
და რომელ შრომის ბორუაზე ქართუ-
ლი ენის ასეთ და ამდენ კარგ მცო-
დნეებს?!

როცა კინოდან გამოვედი, ცხე-
რი კინალამ მივხახლე (სხვათა შო-
რის ცხვირი მოზრდილი მაქვს) ოპე-
რის საგანცხადებო ბოძს.

რაკი უკატასტრაფოდ გადარჩა ჩე-
მი ცხვირა, წავეიკითხე მოსკოვის
მუშათა თეატრის რეპერტუარი:

წ რ უ წ უ ტ ა ნ ა ს გ ა რ ი დ

(по ту сторону щели).

თურმე ოპერის თეატრს ქართული
ენის უკეთესი მცოდნენი ჰყოლია,
ვიღრე სახკინმრეწვის.
ბევრი ვეძიე სხვადასხვა ქართულ
ლექსაკონებში ეს სიტყვა, მაგრამ
ვერსად ვნახე.

დალოცვილ მთარგმნელს არც ქა-
რთული სკოდნია და არც რუსული,
თორემ ასე თარგმნიდა: „ქრუქუტა-
ნას იქით“.

ნეტავი, როდის გაიხედავს მთავ-
ლიტი „ქრუქუტანას იქით“ და გა-
ანთავისუფლებს ქართულ ენას ასეთი
მთარგმნელისაგან? ალბად იქაც ასე-
თი კარგი მცოდნეები, თორემ რა-
ტომ ყურადღებას არ აქცივენ ასეთ
მოვლენებს?

ზმუკი.

— კოკი, სად მუშაობ ახლა?
— ახლა? ტყავის ქარხანაში, ხუთ-მეტრი თუმანი მაქვს, მაგრამ უნდა გადავიდე, აბრეშუმის ტრესტში მუშაობენ, ხომ იცი კვალფიციური კაცი ვარ.

მეორე დღეს:

— კოკი, გადადინარ ტრესტში?
— გადავედი კიდევ, 16 თუმანი დამინიშნეს, მაგრამ იქნებ იქედანაც წავიდე, ბალ-ბოსტან-კავშირი მოხვას, 17 თუმანი იქნებაო.

ორი კვირის შემდეგ:

— კოკი, ისევ ტრესტში ხარ?
— არა, კაცო, ხომ არ გაგივლი, ბალ-ბოსტანში გადავედი, იქ ერთი ცვირა ვიმუშავე და მერე რკინის გზის სახელოსნოებში მიმიღეს 18 თუმანზე. სამი დღის შემდეგ თამბაქოს ქარხანაში გადავედი, ოცი თუმანია ჯამაგირი. ამას აღარ მოეშორდები. თუთუნიც უფასოა.

ექვსი თვის შემდეგ, როცა კოკის ამხანაგი პროვინციიდან ჩამოვიდა:

— კოკი, შერჩი ხომ თამბაქოს ქარხანას? ისევ იქ მუშაობ არა?

— ე, ჩემო ძმაო, შენ ყურზე გძინავს. თამბაქოს ქარხნიდან მე მიმიწვიეს აბრეშუმში, 21 თუმანთ. იქიდან გადავედი მწვანო-ტრესტში 23 თუმანთ, აღარც ეს ვისურვე და საფეიქრო სინდიკატში ამოვეყვი თავი, ხოლო რადგანაც იქაური ბუხვალტერი არ მომეწონა სახეზე, გადავბარე ზაკლოლოოვოში. იქაც მამუშაობდი, მივატოვე და ფესხაცმელების მალაზიაში მოვეწყვე, ერთი ხუთი წყვილი ტუფლი ძლივს ვიშოვე და გადავედი ყველ-კარაქ-კავშირში მოვიძარავე ერბო-კარაქი და მიმიწვიეს ქიმ-კომბინატში, როგორც სპეცი. იქიდან დავკარი ფეხი და გადავედი ოხრახუმ-კავშირში... თუ

ძმა ხარ, რათ მინდა ოხრახუმში? ცოტა ავანსი მივიღე, დავისურვე ქუდი და ხე-ტყის სახეობ ქარხანაში მოვეწყვე, ბინისთვის სააღმშენებლო მასალა მინდოდა.

— მერე?

— მერე და შევაკეთე ბინა, ხოლო შემდეგ გადავედი მუშაობის გამანაწილებელ განყოფილებაში ცოტა რამეები გამოვიწვილე ჩემთვის და პირდაპირ „მეკრავში“ შევედი (ერთ დროს თერძიც ვიყავი)...

— მერე?

— მერე და შევემოსე ცოლ-შვილი და ნათესავებიც. ავდექი და გადავედი ავეჯის ქარხანაში, გამოვიტანე (ნისიად რასაკვირველია) ბუფეტო, შაკედი უხანდარი, შავიდა და პილი! გავესწიე მუშტრესტისკენ, საფანგებო დავალბათა აღმასრულებლად. ვიშა ხურე იქაც სამი კვირა, გამოვიტანე ბეკერის როიალი და...

— მერე, მერე?
— არაფერი, დავდეი სახლში.
— აბა გაბედნიერებულხარ! შენი სიმდიდრე კაცი ვინდაა!
— ჰო, რა მიჭირს, ეცხოვრობ გვაჩიანად.

კვლავ ერთი კვირის შემდეგ:

— კოკი, თუ ძმა ხარ, ერთი პატარა პიანინო გამომატანიე, მუშტრესტის მუშაკი ხარ!

— დამცინი თუ მართლა მეტუნები? — ოხრახეს კოკი.

— როგორ?

— როგორ და მუშტრესტიდან ნიშადური-სტროიში გადავედი სამას მანეთთან ადგილზე... გამიწვირა ღმერთი და გადავედი.. რა მინდოდა ნიშადური-სტროიში?

— ამოგცხეს, კაცო ნიშადური თუ როგორ ლაპარაკობ?

— ამომცხეს და მეტი არა? გადავედი მაგ დაწყველილებთან და მაგათი გამგე ჩემი ყოფ. გამგე არ აღმოჩნდა! ოხრახუმ-კავშირში მუშაობდა... მიცნო და გამოიკითხა ყველაფერი. შეიქნა ერთი მიწერ-მოწერა, ტელეფონების წკრიალი და დაკითხვები.. ახლა მთელი ქალაქის დაწყებული ბუღალტერების იურისკონსულტები — კარზე მომაღვენ და სასამართლოში მიჩვივან... წაიღონ, ბატონო, რაც წამომიღია, ვინაა ხმის გამცემი თუ კი არ დამიქერენ...

კიდევ ერთი კვირის შემდეგ:

— „ძმაო გიტო! — იწერება კოკი, მე უკვე გამასაღში ვარ, არ გიკვიოს? დამიმტკიცდა ბოროტი მიზნით მფრინავობა და მომისაგება... ბინის მოწყობილობაც წაიღეს, კარაქი და ერბოც უკან დამბრუნეს... თუ მოახერხო, ვახელინი გამომიგზავნე, იმ ოხერმა ნიშადურმა სულ დამთოუქა“...

ალლარ-ალლარსან.



სცენა აზარისტანის სააფთიაქო სამმართველოში

ნიკიფორე. დილა მშვიდობისა ბ-ნო არჩილ! რა გლახა უბედურება მოგივიდა! როგორ მოხდა, რომ სააფთიაქო სამმართველოს სახელით 110 მეტრი პარუსინა ვილაკეებს გამოუწვრილა და ჩვენ არ მიგვიღია?!

არჩილი. ჩვენი მხრივ ზომები მიღებულია, აფერისტები უნდა იქნენ აღმოჩენილი, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი, მუშგლეხინმა თუ გაგვიგო.

ნიკიფორე. ჩვენს აპარატში მომუშავე ხალხი მაგისთანაობაში, ბატონო არჩილ წმინდანები ვართ.

არჩილი. მჯერა! ენახათ ვალიკო, — (საეპქო განყოფილების გამგე), რას იტყვის.

ბარნაბა. (აპარატში მომუშავე მუშა-დამლაგებელი), რას ჩივი ნიკიფორე? თქვენ გამოხარით წარსულში სააფთიაქო სამმართველო და ეხლაც ხეირს არ დააყრიო, პროკურორი გამოირკვევს თუ ვინ შეყლაპა ათას ასი მეტრი პარუსინა ლენინგრადის ტრესტიდან გამოწვრილი.

არჩილი. შენ, ბიძია, რაცხა კონცეპციული ხარ, დიდი ენა გაქ!

ბარნაბა. კონცეპციული ვარ, თუ რაღაცა, კარგად ვიცი, რა უქენი ზოგიერთ პირებს თვითკრიტიკის ვულოზა, ბევრი აწამე, საწარმოო თათბირებზე ლაპარაკის ნებას არავის აძლევდი!

არჩილი. მაგისთანა საქმეები მომიჭხრაკებია?! ყველაფერს გაფარხავე იმის საშუალებით!.. შენ კი გორჩევენა დემოკლე, თორემ ხომ იცი..

ნიკიფორე. აბა, აბა, დემოკლე, შენ კი, ბიძიკო ბარნაბ, თავს გაუფრთხილო! შენისანებს ამოუსვი ნიორი?!

ბარნაბა. ახლა შეიძლება თქვენ მართლა სხვანაირად ნიორი ამოგისვან და ზედ სკიპიტარიც მოგაყოლონ თუ 1100 მეტრი პარუსინის გადაყლაპვა დავიმტკიცებდალ.

ელესკირი.

თავი მეთერთმეტი

არ არის ნათქვამი
შიგ რამე ზედმეტი!

იოსების საქმე ცუდით იქნებოდა,
ფარაონს რომ რაზე არ დასიზმრებოდა!
ერთხელ მან იხილა ისეთი რამ ძილში:
შვიდა მკლე ძროხები გამოვიდნენ ნილში;
მათ უკან გამოჰყვა სხვა მსუქანი შვილი.
მეფეს, ამის მნახველს, წაერთვა სიმშვიდე!
შვილმა მკლე ძროხებმა მსუქნები რომ შთანთქ-
მეფე იძახოდა:—„ამ ძროხებმა რა ჰქნეს!“

მკლე ძროხები დარჩენ ისევე ძვალ-ტყავად.
ამას ზედ დაერთო კიდევ წასათავათ:
მინდვრათ ამოვიდა შვიდი მკლე თავთავი;
იქვე შვიდ მსუქნებსაც დახარათ თავი.
მკლეებმა მსუქნები თავთავი ჩაყლაპეს.
ფარაონს უკვირდა:—„რა ამბავია ღლეს!“
ყოველივე ამას თუმც ის უცქეროდა,
საკუთარ თავლებსაც აღარ უფეროდა.

თავზარდაცემული დილით როცა აღება,
სიზმრის ასახსნელად ვეღა ფეხზე დადება.
მის კარისკაცს მხოლოდ ახლა შოგონდა,
ერთ ტუსალთან რომ მას მიგებობდა ჰქონდა.
სიზმრების ამხსნელი სხვა რომ ვეღარ ნახეს,
მეტე რა ზნა იყო—ტუსალს დაუშახეს.

იოსებს ციხიდან სურდა თავის დახსნა,
იმას რა თქმა უნდა,—მან სიზმარი ახსნა!
შვიდი წლები, თურაჲ, დადგებოდნენ მსუყი,
დანარჩენი შვიდი,—უნაყოფო, ფუყი.

მსუყი წლების ნაყოფს მკლეები შთანთქმევდნენ,—
რაც ამ ქვეყანაში სინამდვილეს ჰგავდა!..
სიტყვა აღარ მინდა მე რომ გავფარძელო, —
იოსებმა ხომ აქვს ვატიანა ღლელო!

ის თავის ვეზირათ ფარაონში დასვა;
გვერდში მოიჯინა, აქამა და ასეა!..



რადესაც ძოვიდა შიმშილობის წლები,
იკობმა გავზაფნა ეგვიპტეს შვილები,
რომ მათ შეეძინათ თავის სარჩო პური,—
იქ იმოგვზოდა, მოეკრა მას ყური.

როგორ იფიქრებდა, სურსათ-სანოვავებს,
თუ რომ ეგვიპტეში იოსები განაგებს!

როცა თავის ძმები იოსებმა ნახა,
ფულში გადასწყვიტა ერთი რომ განზრახვა,
რომლის აწერასაც მე არ შეუძლები:
არც იმდენი არის შიგ საყურადღებო!
მხოლოდ მე მინდა აქ აღწინაშა ის,
რა შედეგი მოჰყვა იმათ შეხვედრას:
თავები თავისი მთელი ჯალბობით
ნათესავეებით და საქონლის ჯოგებინ-
ქანანნიდან გადაიბარა,

ჯებერს მამას ეხლაც ჩვეულებათ სჯირს,
რომ მაკოთხავს ქალაქში მყოფ შვილს:
მიუტანს ქათამს და ციფ ხაქაპურს,
შაგირას მოსთხოვს მთელ წლის სარჩო პურს!)



შკითხველს აღუძვრის საკითხი ერთი:
სად დაიკარგა, რომ არ სჩანს ღმერთი?
ნურას უკაცრავად!
არ გუგონოთ ავათ!
მე მას თქვენ განახებთ თუ გინდათ ათასჯე-
რაკობი იხილავს თქვენზე აღრე მას ჯერ,
რომელსაც შეხვდება ეგვიპტეს მიმავალს.
სიკეთეს პირდება აურაცხვე მრავალს!

გაუმფორა მას ყველა ფიცი,
რაც მის წინაბრუნს ამდენხანს მისცა,—
და არ ვაამართლა,
არც ნაწილი, არც მთლა.

ეხლა მას დაეტყო
ყურის გამობერტყა!



ეგვიპტეში როცა იაკობი ჩავიდა,
აქ იმისი საქმე სულ წაღმა წავიდა.
ეს გასაკვირველი სრულიათ არ არის.
მისი შვილი იყო ხომ მფეფს მოლარე!
სურსათ-სანოვავეტ იმასვე ეზარა.
რამდენიც უნდოდა შეეძლო ეპარა!


ქვეყნათ მძვინვარება სასტიკი შიმშილი.
იაკობს ხელს უწყობდა საყვარელი შვილი
ეგვიპტელებს ბურში თუ აძრობდა ტყავს,
ტომარას უფსებლა შუქათი ნათესავს!

როდესაც სტუმრებმა წელი მოიზარეს,
აღარ მოერიდნენ მასწინძვლების ზავურას.
მათ ბატივისცემა არ დაუმახსოვრეს.
ხალხი კინაღამ ხულ მთლიათ გაამათხოვრეს!
განი გავიღბ.



თაკობი, შვილებით, საფლავს ჩავიდა.
რადგანაც ტახტზე ფარაონი მტკიცე ავიდა,
ფარაონების საქმე უხლა ცუდით წავიდა.

განკარგულება ფარაონმა ისეთი გახცა,
რამაც იაკობის შემწვევდრეტებს თავზარი დასცა,
თუ რომ იშვებოდა ვაჟი ებრაელის,
დანით მოელოდა მას გამოქრა ყელოს!
დაიბადებოდა თუ რომ ასული,
მისი სიცოცხლე იყო დაცული, —
რადგან ეგვიპტელებს ძლიერ მოსწონდათ,
მათ შიგ თვალ-წარბი, თეთრი ტანი ჰქონდათ!
ამრიგად გავიდა რამდენიმე წელი;
ებრაელებს არცენ ყავდათ ხელმძღვანელი.
ღმერთმა თითქოს კიდევ დავიწყებას მისცა.
ასჯერ მიცემული წინაბრუნზე ფიცი.
საქმე ასე დიღხანს თუ რომ წავიღოდა,
თაკობის მოდგმა სულ გადავიღოდა!



საწარმოო გვერდის ბრწყინვალედ გატარების ნაყოფი ზოგიერთ დაწესებულებებში (გადანერგვა აკრძალულია).

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ცოტაოდენი ხანი გამობნდა. ერთ ებრაელ ოჯახს ვაიკი შეეძინა. სამი თვე დედ-მამას დარდით არ ეძინათ! მაგრამ დაძაღვე რომ ევლარ მოახერხეს, მშობლებმა მიმართეს მაშინ ამნაირ წერხს: როდესაც ყმაწვილი იყო ტუბილ ძილში, ჩააწვინეს ის გაფისულ ძარში, და გაატანეს იმის უფროს დას, — სადაც ფარაონის ქალიშვილი ნილში ტანს იბანს, იქ რომ დაედგა და შორიდან ეღვინა თვალი, თუ რას უზამდა მას მეფის ქალი!

მეფის ასული იყო ქალწული, მაგრამ ყმაწვილი როგორც იხილა, მან გადასწყვიტა, რომ ის ეშვილა! ბავშვისათვის ეშოვა მეფის ასულს ძიძა. — ხომ არ არსებობდა, იმ დროს შრომის ბირჟი ან მისი სექცია! აუცილებელი დარჩა პროტექცია, რომელმაც მოჰგვარა ძიძათ თავის დედა! ხედავთ, საქმე წაღმა როგორ შემობრუნდა? განა ეს მოხდება, თუ რომ ღმერთს არ უნდა? მოდი და მორწმუნე ამა წუთ გახლები, ასეთ „ღვთის სასწაულს“ როდესაც შეხვდებით.

მეფის ქალიშვილმა გადასწყვიტა ასე: მის ნაშვილებს ყმაწვილს რომ დაარქვას მოსე. რადგანაც ის იყო წყლის პირას ნახული, შეეფერებოდა სწორედ ეს სახელი. ფარაონის კარზე მოსე იზრდებოდა. თქმა არ უნდა, — მოვლა კარგი ექნებოდა! როცა ვაიხარდა, მოწიფული ვახდა, კბრაული ხალხის ბელადობა მას ხედა! მაგრამ, იცით, საქმე დაიწყო მან რით? ერთი ეგვიპტელის მალულად მოკვლით! მაგრამ ისე უწნოთ ჩაიდინა ეს, ქვეყანამ იცოდა უკვე იმეგ დღეს! რომ მას სასჯელისგან თავი დაეღარა, მადიამის მხარეს ჩუმით გაიბარა. იქ ცოლათ ვიღაც მღვდლის ქალიშვილს ართავს, სიმამრს ცხვარს უმწყყავს და ამით იორჩენს თავს. (ბატარქმელმბა იმნმბა)

ს. თ.—ია.

ვზივარ (თქვენთვის რა საინტერესოა—თუ სად?) და ვკითხულობ გაზეთის მე-4 გვერდს. (თქვენი არ ვიცი და მეც მე-4 გვერდი მთელ გაზეთს მირჩენია). გაზეთი ზაფხრის დღის და ამ უმნიშვნელო თანხით ფუთონჯეგარ სიამოვნებას მაინც მიიღებ.

ყოველ დღე ცაბდებთ:

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (დაკარგული და მონპარული) ჩითვალის გაუქმებულად.

სად არის მილიცია თუ ყოველდღე ასეთი ამბები ხდება? ანდა რა საქმეა ასეთი დეტალი? პატროსნად თუ უპატროსნად (შობარეით) დაიკარგა დოკუმენტი, სულერთია, ორივე შემთხვევაში დაკარგულია. (ბარემ რედაქციებმა ისიც აღნიშნონ (კვლითიკაცია უყონ), თუ რომელი დოკუმენტია მოპარული და რომელი დაკარგულია?)

“ნიანგის ცრემლები”

ძველად რომელიღაც ჟურნალში ასეთი წერილი წაკითხეთ:

რედაქტორი: — როგორია ჩვენი ფინანსური მდგომარეობა?

კანტორის გამგე: — პირდაპირ კატასტროფიული, თუ ვინმე დიდი კაცი არ მოკვდა!

— მეგრე ჩვენ რა?!

— სამელოფიარო განცხადებები გვექნება!

მართლაც, გაზეთებს კარგი შემოსავალი აქვთ განცხადებებიდან, (უამისოდ რედაქციებს მძიმე მდგომარეობა ექნებოდათ).

სამელოფიარო განცხადება მკითხველს დააღონებს, მაგრამ, რატომღაც ჩემზე (ალბად სხვებზედაც) პირობით მოქმედობს. და ეს არა იმიტომ, რომ მე, თითქოს, სხვისი სიკვდილი მიხაროდეს. არა! თვით განცხადებები ისეა შედგენილი, რომ გაცეცინება თუ კბილი არ გტყავა.

მაგალითად, ხშირად წაიკითხათ ჩვენს გაზეთში ასეთ განცხადებებს:

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უცბად ვარდაიცვალა ჩვენი საყვარელი, უძვირფასესი და სიამაყე ბებია

მამრინე, (მამა, მამო, მამუშა)

რასაც ვაუწყებთ მთე ლმხთფლიოს მისი ჭირისუფალი წელმოზრიალშვილები

ვინ იცის, ეგებ სინარულით ცას სწელებიან, მაგრამ საქაროა ასე მოქცევა.

განუხარვრელ მწუხარებაში მყოფი, ვაუბედურებული, მეხდაცემული, და უღროოდ დაქვრივებული ცოლი ალათი, შვილები, შვილისშვილები და ამ უკანასკნელთა შვილები აუწყებენ საზოგადოებას.

ალცანდრე (ალმამხანდრე, სანდრო, შურა)

ჩიბუხინის


ურდოოდ ვარდაცვალებას.

აქ მკითხველს კითხვა ებადება: — ნეტა რომდენი მოკვდა? — და თითებზე ითვლის: — ერთი — ალცანდრე, მეორე — ალექსანდრე, მესამე — სანდრო, მეოთხე — შურა). მეორე კითხვა: „უღროოდ როგორც სმანს ეს თიხასანცლანი კაცი ღრმა მოხუცი ყოფილა (პყოლია შვილის-შვილის შვილები). ალბად „უღროოდ“ იმიტომ, რომ ჭირისულვალს რაღაც ისეთი სელოთხული საქმე ჰქონდა, რომ მოხუცმა თავისი „უღროო“ სიკვდილით ხელი შეუშალა.

რედაქციებმა განცხადებებსაც უნდა გადახედონ, თორემ ამდენი მლაშე წყალი — „ნიანგის ცრემლები“ მუშაობისა და სანტიმენტალიზმის ქაობს გააჩენს და ახალყოფა-ცხოვრებას მალარის ბაცილებს მიუსევს.

რინტინ-ტინ.

8 გერმანიის კომპარტოას რეისტაგის არჩევნებში უღიღისი გამარჯვება. ერგო? ერთი მილიონი ხმით მეტი მიიღო ვინემ წინანდელ არჩევნებში. (გაზეთებიდან).



დამგრძობსალნი—ამ მატარებლის სისწრაფე უნდა შევა ნელთ ,თორემ ჩვენი დაღუპვის სადგურს ადრე მიაღწევს.

„მ მ რ ი კ მ ვ ა“

— შეჯიბრიც ამას ჰქვია, ერთი კიდევ გიორგი და ამასაც თუ დაღვე, მაშინ მაგობე შეჯიბრებაში და ის არის — ასე უთხრა ადგილკომის თავმჯდომარე გაბომ გიორგის და კიქაძეს დააჯახეს.

გაბომ და მარცხდა შეჯიბრებაში გიორგისთან და ამ „ბრძოლაში“ დაქანცული დაეშვა სასადილოდან სამსახურში.

— გაბომ, ცირკულიარია მოსული შემხედო საწარმოო-საფინანსო გეგმების მუშებში დამუშავების შესახებ — ფეხზე ადგომით და აკანკალებული ხმით უთხრა გაბომს მდივანმა.

გაბომ დაქანცულ ორთქლმავალივით ამოისუნთქა, მუცელზე ხელი გადაისვა, ჩაჯდა საფარშელში — შემხვედრი პროფინპლანი, რა უნდა იყოს ნეტე, ან საიდან ჩამოდის რომ შეგვეღე.

— შენ დაღლილი ხარ გაბომ, ბევრი მუშაობით, მე წაგიკითხავ ცირკულიარს — დატკბილული ხმით უთხრა მდივანმა და დაიწყო კითხვა:

საჭიროა განვამტკიცოთ და ფართოდ გავშალოთ დამკვერლობა და შეჯიბრება“.

— ჰმ შეჯიბრება, — გააწყვეტინა გაბომ. იცი ჩემო, შეჯიბრებაში დღეს დავმარცხდი გიორგისთან.

— გაბომ ასე არ შეიძლება. ჩვენ ეს ცირკულიარია უნდა დავამუშაოთ. ხუთწლიან გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა საჭიროა — ხშირად, ედავებოდა მდივანი გაბომს. გაბომ ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა ამ დარჩევას. მისი სული და გული იქითკენ იყო, რომ ვინ გამოეწევა ღვინის სმის შეჯიბრებაში.

გადიოდა დღეები. ფაბრიკა-ფაბრიკას ეჯიბრებოდა, რათა ახალ სამუშაოზე წელს ისე შეხვედროდენ, რომ არც ერთი პროცენტი გეგმისა არ დარჩენოდათ შეუსრულებელი.

ადგილკომი-ადგილკომს იწვიღა-დამკვერლობაში. გაბომ კი სულ სხვა ბორბალის ტრიალს გადაყვა. მისი დამკვერლობა მუშტი-კრივი იყო.

კვირა დღეს დამკვერული მუშათა

ბრიგადა ესტუმრა ჩვენს გაბომს.

— რა გააკეთე ხუთწლიან გეგმისათვის? — შეეკითხა ბრიგადა.

— მე ის გააკეთე, მაგრამ... ჯერ ხომ აღრეა... ხუთი წელი არ გასულა. მე, მე, კარგად ვიმუშავებდი, მარა მდივანი არ მივიარგადა. მერე სამუშაო ოთახი ცული მაქვს „ობიექტური პირობები“ არ მიწყობდა ხელს — მიუგო გზაბარბელმა გაბომს.

მეორე დღეს მუშები შემოსეოდენ შავ დაფას, სადაც ადგილკომის თავმჯდომარე გაბომ იყო გაკრული. „სირცხვილი გაბომს, ჩამორჩა ყველა ადგილკომს“ ეწერა შავ დაფაზე. გაბომს პანდური ამოკრეს და კვაზივით დაუშვეს კარებისაკენ.

ახალი თავმჯდომარე, რომელიც დამკვერული მუშაა წამოაწეული, გადაციტებით შეუღდა შემხვედო საწარმოო საფინანსო გეგმის მუშებში დამუშავებას, რომ დაეწიოს სხვა ადგილკომს, გაბომ კი ბუზების თვლაში ეჯიბრება მასავით ხარმაცს და გარიყულ გიორგის. ივანია.

ახალი „რწყილი და ჭიანჭველა“

ანუ არაკი უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელზე

იყო ჭიანჭველა,
 უმტკიცებდა ყველა,
 რომ მოუწყვეს გავლა,
 თუ კი უნდა სწავლა.
 მიმღებ კომისიას,
 რომ აღგენდა სიას,
 კლასში მისაღებთა,
 ჭიანჭველა შეხვდა
 და მიართვა არხა,
 მაგრამ დათარსა
 ჭიანჭველა ამით:
 სურდა სწავლის „ნამით“
 გასვლელა პირის,
 მაგრამ, დახეთ ჭირის
 მის თავს ვადიდებას.
 კომისიის კრებას
 „ჭიანჭველა“ მახლას (!)
 მოხვდა, ვით წყლის ტალღას
 და იგრძნო საწყალმა,
 რომ წაიღო წყალმა.
 ჯერ თვით, ჭიანჭველა,
 კვლავ — საბუთი ყველა:
 ცნობა, ატესტატი,
 სახის სურათ-ხატი,
 მეტრიკა, ანკეტა
 სულ ტალღამ წახვეტა.
 მიმღებ კომისიის...
 (წესია მისი ის!)
 გაჰქრა შეგება ტკბილი,
 მაგრამ აი, რწყილი
 გაჩნდა მყის წყლის პირას
 გადავიდა კირას,
 „ტო ესტ“ — ახტა, დახტა
 და გაჩერდა სახლოან,
 სადაც იღვა მუხა
 ანუ კაცი ჯმუხა,
 სასწავლებლის გამგე:
 — კაცო რისთვის დაზგმე
 რისთვის შეიჭირე
 ჩემი სახლის ღირე,
 ერთგული და ყველა
 მოძმე — ჭიანჭველა?!
 ეუბნება რწყილი:
 — სულ ორ-ორი წყვილი
 ორი საბუთისა,
 პირის თუ ასლისა,
 რომ წარმოადგინა
 კომისიის წინა
 ერთად იმ საწყალმა,
 მაშ, რად შთანთქას წყალმა?..
 მოდი, დამებმარე,
 რამე მომიგვარე,
 წინ წამოიღვა მუხა,
 ტო ესტ კაცი ჯმუხა
 და რწყილს მოახსენა:
 — „ჯერე წადი შენა,
 ნახე კაცი-ყვედი
 და მოსთხოვე“ ნავი,
 ისე ჩლავი, ფლავი
 ერთი განაწერა!!
 რყილმა — მჯერა, მჯერა.
 მიადახა ჯმუხას

გადაახტა მუხას,
 და მონახა ყვედი.
 ყვედმაც მისცა „ნავი“
 მაგრამ ნავი ახლა.
 შესდგა ცერად მალა,
 ვით გაჭირი ვირი,
 და ალალო პირი
 — წადი, შენი „დუხი“..
 შენ ჯერ ნახე კრუხი,
 მას წიწილა სთხოვე
 და მომიახლოვე
 მისი განაწერა...
 რწყილმა — მჯერა, მჯერა!
 მასაც მიადახა
 და მყის კრუხი ნახა.
 კრუხმაც — ჰა, დოსტ-სტკიცე
 და წიწილა მისცა.
 მაგრამ თვით წიწილამ
 ეს ძლიერ იწყინა.
 და რწყილს მოახსენა:
 „ჯერე წადი შენა,
 ნახე ორმო — მხვეტი
 და მოსთხოვე ფტევი,
 ერთი განაწერა...
 რწყილმა — მჯერა, მჯერა.
 წიწილს მიადახა.
 და ის ორმოც ნახა.
 ორმომ მისცა ფტევი,
 მაგრამ ფტევა კეტი
 ლამის თავში დაჰკრა.
 ლამის მზე სულ ჩაჰქრა
 რწყილისთვის ერთ წუთას,
 ფტევა ასე უთხრა:
 „წადი, ნახე თავვი“.

და მას თხოვე რავევი,
 ერთი განაწერა.
 რწყილმა — მჯერა მჯერა
 ორმოს მიადახა
 და მყის თავვიც ნახა.
 თავვემა მისცა რავევი,
 „ტო ესტ“ მთელი ჯგავი
 რაღაც ხელწეროლითა,
 რასაც ვერც კი მიხვდა,
 ისე გააქანა
 ფტევისკენ თვის თანა...
 მაგრამ განაწერა
 შესდგა გზაში ცერად,
 და რწყილს მოახსენა:
 „ჯერე წადი შენა
 და მონახე კატა,
 მისგან ანდამატი
 მომიტანე ერთი
 ქალაღის ნაფლავითი.
 ახტა რწყილი, დახტა,
 მხოლოდ მადა წახდა
 ესოდენა რბენით.
 თუმცე ქალაღზე რწყენით
 დარჩა ის კვლავ, მარა...
 რომ ვერ დაეხმარა
 თვით ქალაღთა დასტა,
 ისიც წყალში ჩახტა
 და გაინაწილა
 ბედი ერთი „ფტევილა“,
 მანაც ჭიანჭველის.
 მამა მამა თუ ვერ შევლის
 და სხვა მამც აღარ ჰყავს
 წყალს მხარულს ვერ გაჰკრავს.
 პაწიწა.

ჯორბენადის ქალის „პრინციპი“

ზოგს ჰგონია, რომ ბიუროკრატობა
 ძალზე ძნელი საქმეა, მაგრამ ჯორბენ-
 ადის ქალს, რომ ჰკითხოთ, ასე გვიპ-
 სუხებთ: ყველაზე უფრო ცხოვრება-
 ში მე ბიუროკრატობა მეხერხება, რა
 ექნა ასეთია ჩემი თანდაყოლილი ნი-
 ჭიო.

ახლა ვიკითხოთ ვინ არის ჯორბენ-
 ადის ქალი? ის გახლავთ კოოპერა-
 ტიულ სარეძევე „ნდობას“ მოლარე.
 მართალია ვიღაც „პაქალუსტა“ პრო-
 ტექტორის თვლის დიდი ნდობაა ის
 თორემ როგორ მოახერხა მოლარეთ
 შეძრომა და ისიც „ნდობა“-ში.

ახლაგაზრდა თუ ხარ და უღვაშებ
 აწყობული, მაშინ მოკვდეს ჯო-
 რბენადის ქალი, თუ ხელად ჩეკი არ მო-
 გართვას, მაგრამ ის „ნასწავლი“ ქა-
 ლია და იცის ბიუროკრატობა სად გა-
 მოიხინოს — მუშას თუ სალაროსთან
 მოკრა თვალი, ცხვირს მაგიდაზე და-
 რგავს და სიტყვასაც არ კადრუ-
 ლობს.

აი მავალითიც: სამშაბათს, 16 სექ-
 ტემბერს, სალაროსთან რიგია გამარ-
 თული. უხარია მას ეს ამბავი, — ჩემს
 სალაროსაც ელირსა რიგი. მაშ დი-
 დი ქალი ცვლილივარ — ვაიგლო ბი-
 უროკრატულ გულში.

— რა ღირს მაწონი?
 — რა ღირს ჩაი?
 — გამოსწერეთ ჩეკი — ასე ეძუ-
 ღარებთან მუშტრები, მაგრამ ის ღმ-
 პარაკსაც არ კადრულობს.

— რაშია საქმე? პასუხს რატომ არ
 გვაძლევთ? — აღელდა ერთი.

— ეგ ჩემი საქმეა, პრინციპის გუ-
 ლოსათვის არ გიპასუხებთ, გთხოვთ
 მიზანდრეფი — პატარაძალივით იღი-
 მება ჯორბენადის ქალი.

ფრთხილად „ქალბატონო!“ — თო-
 რემ ბიუროკრატული პრინციპები
 ერთ მშვენიერ დღეს ფრთხილს ვამთ-
 ვაბამს და სამსახურიდან ვაგაფრუნი-
 თქვენს „პროტექტსთან“ ერთად!

ივანია.

კურორტოლოგიური კოლეჯი

თავი პირველი, რომელშიაც აწერილია მდიდრებთან უხეველად.

მოგზაურობას ავიწროთ,
ამ ზაფხულში ვინ სად უნახე
(რელაქტორმა გამაფრთხილა,
არ ვისზე ვსთქვა სიტყვა შევახე).

პირველი ჭეიშხეთს ვეწვიე
სადაც მწერალოა სახლია,
გადაუხურაუთ, მგერამ მისს,
კვლავ შევტეუბა აკლავა.

მიხეილ ჯავახიშვილი
წყაროსთან გამოიშვება:
— „პლატონს ცემენტი თუ მოაქვს
გეთაყუ იცი ეგება!
სვეტები ექანებიან
მიტეხენ გულს ძვერახსა,
მე ამ ყოფაში ვერ შევძლებ

მარაბდის გმირზე წერასა“
მაგრამ სხვებმა სთქვეს: მიხეილ
წერაზე აქ მხედ არიო,
მისი რომანის ხელთაწერს,
ვერ ზიდავს სახედარიო.

სამი ნაძვის ქვეშ გავგოთ
ფაროე ფალასი ჭრელია,
უხსდენ: გერონტი, არისტო
და საშა ამაშელია.

ცეცხლადეს სიმონ ხუნდაძე
ქაღრაკში გამოიწვია—
ლა ყველა ამას იღებდა
კინოზე სახეინმრეწვია.

ვასო გორგაძე — სპორტსმენი
უნდა ვახსენოთ ქებითა.

კოჭამდე წყალში ხტურავდა
ტიტელად, არ ტრუსიკებითა.

„ყვარყვარეს“ ავტორს არ ჰქონდა
მოცლა არც ერთი წუთია,
წინ ხელთაწერი ვყარა,
სულ ცოტა — ერთი ფუთია,
ვურჩიე: ამდენს ნუ შრომობ
დაგემართება ქლექია!
მიიხრა: „დე, მოვეკმდე
მხოლოდ კი დავსწერო“ ნაცარქექია“.

იქიდან წაველ ბორჯომში,
გრიშაშვილი ვნახე პარკში.
ლამაზ ქალთა შორის იჯდა
გართულციო ლაპარაკში.
მიიხრა აქ „ფირფხაში“ ვართ
მოგვეკლეს ბორჯომის წყლის სმიოთ,
მე და უშანგი ჩხეიძე
ნამეტანი ჩამოვხმითო.
მერე წყაროსთან მივედიოთ
გადავკარით თითო-თითო.

დემნაც იქ იყო „ცხრა-თვალთ“
სიმონ ჩიქოვანს ელოდა
და ჩერნიავსკი კოლაუ
თავისთვის მიიმღეროდა.

ბორჯომში სიმონ წაველიც
ჩავიდა მიუწვეველი, —
ველარც სადილი იმოვნა,
ვერც ბინა გასათეველი.


ცემში ხარიტონ ვარდოშვილი
კუჭი აშლოდა ღამითა,
სთქვეს თუ ქეიფმა უქნაო,
მაწონი ესეა ჯამითა.

ბაკურიანში ლიხაშვილს
სწვევოდა მუზა ბარაქით,
შვილი პოემა შეეთხა.
გასუქებულსა კარაქით.

ქობულეთში ვნახე ეფლი;
ზღვის პირას, არა ბინაზე,
სპორტსმენის მოკლე ტრუსიკით
დაგორაობდა სილაზე;
ძლიერ მოსწონდათ დელფინებს
მისი გრაციის სინაზე.
თავის ახალი კრებულაც
წინ ედო მტრების ჯინაზე.

გაიოზ ყირიმელი.

მცირე განსხვავება



— ჩემს მოხსენებაში სულ მცირე გაუგებრობა აღმოჩნდა, უნდა დამე-
წერა, რომ საწარმოვით გეგმა შესრულებულია 9,9 პროც. და მე კი 99
პროც. აღვნიშნე, სულ რაღაც ერთ პატარა ნიშანში — მიმეწვია განსხვავება, სხვა ხომ არაფერი?!

დასილოხება

რატომ არ დაიწყო სილოსისთვის ორ-მოიბრის ამოღება? — შეკითხვენ მცხეთის აღ-მსკანძმის თავმჯდომარეს.

— იმიტომ, რომ დირექტივა არ მიგვიღეს!

— იყო პასუხი. (გაზეთებიდან).
შეოთავს მცხეთის აღმსკანძმის თავმჯდომარე — გული სტკივა დირექტივას ელოდება, აღარ შობს დირექტივა. „დოსციბოლის“ კაცი არის ჩვენი ძია, თავმჯდომარე, დირექტივა არის მხოლოდ. მისა მზე და მისი მთვარე. ეთქვათ, გაფრინდა დირექტივა! — მაშინ რაღა უნდა მოხდეს?! — შოლოდინში თავმჯდომარე თვითონ უნდა დასილოსდეს.

გატრთხილება

ს. ზემოხეთის სამეურნეო არტელს საქ-მიერებს საქარბოო ამხანაგობამ უარი თი-ბრა სილოსის დასამზადებლად ავტრის მი-წოდებაზე.

— ჩვენ სილოსს დარღი არ გვაწუბებს! — განაუბლეს ამხანაგობის წევრებმა.

(გაზეთებიდან).
— აიღეს! როგორ აფუჭებთ საქამიე-სერის „ნიუტონებო“ თქვენი წარმოე-ბის სახელწოდებაში ნახმარ სიტყვას „ამხანაგობას“?!
ჩვენ გიჯობა, რომ ზოგიერთი თქვენ-განს სილოსს და საერთოდ, მუშურ-გლებური ხელისუფლების საქარბოო გეგმების შესრულების დარღი არ აწყობებს, მაგრამ სამაგიეროთ „ტარ-ტაროზს“ თქვენი თანების დარღი ძალიან აწყობებს. აგარაკიდან ისეთი აპეტით დაბრუნდა, რომ თუ სად-მე გინელთათ თქვენს მვალსაც აღარ ვატოვებს.

ერთბილად საქამიესერის „ჯენ-ტომენტებო“!

მიმაგრება

„ჩვენ, ზღამტრესტში მომუშავე ინჟენერ-ტენაკოსთა ჯგუფი. ვაღ-ვიარებთ, რომ ვაღასკლი ერთი ადგი-ლიდან მეორე იდიოზე და ისიც მია-სუხისმეებულ მომუშავე სამეციალის-ტების ჩაშლას უქვადის ჩვენი საქარ-ბოო გეგმებს წარმატებით შესრუ-ლებას, ამის გამო ვაცხადებთ ჩვენს თავს მიმაგრებულად ერთ ადგილზე და სიტყვას ვიძლევით არ დავიძროთ ჩვენი კაბინეტიდან ზუთწილუდის დამ-თავრებადღე.

ბელს აქვს 100 მოქალაქე.

ა ე წ ვ ა

დრინის გაძვირებამ რკინის გზაზე დადები-თი შედეგი გამოიღო, რადგან ლითონამ შე-სამწიქვით იკლო.


(სილნაღულის წერილიდან).

— ევას, კაცო, კაცო ამისთანა საქმე გაფონილა? წინად, რომ სადმე „ჩას-ნი“ გუფეტში ან რესტორანში ჩავი-დოდი და ერთ ბოთლ ღვინოს მივით-ხოვდი მეორეს ფეშქეშით მომიტან-დენ. ეხლა კი სულზე ნახევარ ბოთ-ლზე მეტს არ შაძლებენ. ზიარებაა?

ზოგიერთ ადგილებზე სსსადილოების დათვლიერებას ზერელე ხასითი ქონ-და და ბრიგადის წევრები უბრალო: გა-წლით რეკამაზოდდენ.



მოცავიღენ



დაცავნოსეს




წაცავიღენ

მათაც იგრძენს

ზოგიერთი პროფორგანიზაციები ადგილ-ებზე უმოქმედობას იჩენენ საქარბოო-სალო-ნაშო გეგმის კამპანის ჩატარების საქმეში. მით ასამორავებლად საქარბოო 20,000 ტერ-ნის მალს წყონე დენამო-მანქანის ტერ-გო.

(მოშ. „ოდალას“ წერილიდან).



პროფკავშირების ზოგიერთი ადგი-ლობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოსაკოცხლებლად გვზავნით 100 ათას ნამდვილ ცხენისაგან შემდგარ ჯგოფს მუშეკორ ვოდალას განკარგუ-ლებაში. როგორც აქ მოთავსებულ სურათიდან ხრანს ცხენებიც გაძნობენ პროფორგანიზების უმოქმედობას დ-მოწყენილი არიან.

გაწმენდილი

— უკანონოდ გაწმენდეს.
— მერე რატომ არ ასაჩივრებ? შე-იტანე განცხადება, გამოიკვლივე და-წვრილებით შენს საქმეს და აღვადგე-ნენ.
— რას ამბობ! ხმასაც წარამთმევენ.

შრომის გმირი

— გასწორდი ზზიაშვილო, გასწორ-დი! სურათი უნდა გადავიღო.
— პირალობის მოწმობისათვის? — ჩაერია ერთი მუშაოაგანი.
— მოწმობისათვის კი არა, შრომის გმირია!
— როგორ, არ ვიცი!
— როგორ თუ არ იცი? მეტი ხომ არა ხარ? ზზიაშვილი სამეციალით მუშაობს! არც ერთი დღე არ გაუტდე-ნია! სამსახურში თივის ოროზო მო-დის! საქმეში ზიულუკრინითაც კი არ უსარგებლობა დიოდან ჩვენ ქარხანაში შემოსვლისა. ერთი წოთი არ აქვს ფა-ნაცდენი.
— მექვება, ხსმი — ოთხი დღე მი-ინც გაუტდეობდა.
— ვიცი ხომ არა ხარ! ორი დღეა რაც ქარხანაში შემოვიდა.

დ ე პ ე შ ე ბ ი

შეიშვარა

აქარის წყალი. (ბათომი) ბოროტი ენები სისინებენ, რომ საწარმოო ამხანაგობის 1210 მან., რომელმაც 30 აგვისტოს ღამით დაკვეთილ სალაროდან გაიპარა, თავს იმავე საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარის რიფეტ საითაძის ჯიბეში ინახავსო.

რიფეტ საითაძის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ბოროტგანმზრახველის კვალის დასაფარავად.

(მანი).

იადლობა

იქიდანვე: პურის სავაჭროს ნოქარმა, იბრაიმ სავაჩლოს ფულის დაგროვებაში, ფოსტის გამგე პავლე თუთაშვილი სოცშეჯირბში გამოიწვია.

იოკვევა, რომ ხელშეკრულება საფარიძემ პირნათლად შეასრულა, გეგმას კიდევ გადააქარბა და ვერცხლის ფული სრული 100 პროც.-ით დააგროვა, რისთვისაც საფარიძემ თავის საყვარელ თავს მადლობა გამოუცხადა.

(მარტისა).

დასილოსება

ბათომი. ბათომის მუშაკობის საწყობებში, საწყობებისა და მალაზიების გამგეებმა დაასილოსეს 300 ფუთი ყველი, ამდენივე კილო ძეხვი და 250 წყვილი ბავშის წინდები. ამის შედეგი ის იყო, რომ პროკურატურამ „ენერგიულ“ მუშაკებს თავი გამსახლში ამოაყოფია.

აშურულ.

ტარაკში

ზესტაფონი. წითელ სასადილოს გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, გადააკეთოს სასადილო ტარაკშენათი: ესე იგი ტარაკშენების გასაშენებელ სადგურად, ვინაიდან გამგეობის აზრით ეს პატივცემული მწერები ხელს უწყობენ საქმელის განოყიერებას. ახლო მომავლისათვის ნაგარაუდევია 100.000 ფუთი დამარილებული ტარაკანის გატანა (ექსპორტიზაცია) ზესტაფონის მეზობელ რაიონებში.

(ბი—ბი)

დაიკარგა

ძირულა. უგზოუკვლოდ დაიკარგა თემალმასკომის ფინმომუშავე კოლია ებაროძე თავის დაეთრებით და საბალანსო წიგნებით. მიღებულია ზომები მის მოსახსნავად. შედეგებს გაცნობებთ.

(კი).

ხუთი შვანი.

იქიდანვე. „ტანგო ერმალოზს“ სამი ფეხი გამოეცა (დამატებით, ორის გარდა). როგორც ამბობენ ცენტრალურ ორგანოებს გადაუწყვეტიათ მისი თფილისში წაყვანა მუხუდში მოსათავსებლად. მოქალაქეებში პანიკა: „ერმალოზი თუ არ იქნა ჩვენი დაბა უმარლიოთ დარჩებაო“.

(—ტა).

ბასპის რამე რუმი

1.

ტარტაროზო გზა ვიცი მოლი მომყე მხარ-და-მხარ,— ჩვენი კოაპერატივი დიდმა „თავგმა“ გადახრა ნოქარი გაიკანი: არუწოვი რუბენა, — და შწამს შემდეგ შენივე ქარა შემოუბერავს!..
შავსივლი კაცია, გაწმინდეს, „მოგვაშორეს“, მაგრამ ისევ აქ არის, ლამის არის ამშორდეს!..

2.

აღმასკომის მდივანი: ყიფიანი თავადობს, — ცოლის ძმები მოაწყო, თითონ თავის-თავადო!..
ეს ზურაბი ლოლაძე უგზო-უკვლოდ ტრაილობს, სამსახურის დროს მუდამ სადგურზე ხეტიალობს!..
ეს რა არის! საამბობი ცვლავ ბევრი დამრჩენია, აღმასკომში მომუშავე, გაიკანით: ყენია...
არშეიყობას უნდება ვინც საქმისთვის მივა-ღ-, ანკი ვისი შურცხვება კარგათ არის მდივანთან!..

სტიქიობი,

გაფრთხილება

(ჯაპანა)

ღმერთი დაბერდა ტარტაროზო. ვებრუნე შენსკენ პირია, თქვენსა სარჩილობას მოველი. თქვენი ჩანგალი გვკვირია.
ზოგს ამას გეტყვი, ზოგ მამს ვის რა გვაქვს ვასკირია, მონახული ჯაბანა თუმცა გზის ფული ძვირია.

პლატფორმაზე, რომ ჩამოხვალ შეგზვდება მიხა გმირია, გაგევა სასადილოსი მუდამ მალა აქვს ცხვირია.

ღვინთა მისი დევიზი, მისი დროვა და ალამი. გთხოვთ, რომ გაიკნით და მისკეთ სინის მათრახით სალამი.

კულაკები შეიფთისა პროლეტარებს გვიქნა განი გამოსწორდეს, თორემ მზად ვარ მისი ძველი

ზელიმხანი.

ფერისცვალეზა

(„საქ. ღვინზაღბოსტან კავშირი“)

მე „საქართველოს ღვინო“ ვარ, — ეს მქონდა დღემდე გვარია, იმის სინსილა ამოწყდა ვინც ჩემი საქმე არია.
„ბაღბოსტანთ“ გადამაკეთეს, ღირსება ჩემი ამხადეს, ვიყავ განთქმული ორგანო. დღეს მეწვანილე გამხადეს. ამკიდეს რაღა „უღმერთოთ“ ზურგზე მე ვაშლის ცალეზი, დღეს მხოლოდ ყველა დამკინის, არავის არ ვებრალები.

—:—

მარტო არტემმა იწვალა, რომ ცყოფილიყავ ერთია, არ დაუჯერეს არკემსა, „გაუწყრეთ მაგათ ღმერთია“, მაგრად დასმულმა საკითხმა კვლავ გაიტანა მისია, მხოლოდ სახელი საჩემო ვერ ნახეს საკადრისია.
„საქღვინზაღბოსტან კავშირი“. ასეთი გვარი მიწოდეს, ეხლა მეწვანილი და ხილი. ბევრი მაქვს, — ყველამ იცოდეს. მალე ხილს ველი გორიდან მაგრად შეკრული ტივებით, ყოველდღე მაძლრად გახლდავარ სხვადასხვა ღირჩეტივებით.

ძნელ-აღლი.

(ლაშქარისგარეშე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)

ის, ის იყო „ყუმბარა“-ს იუმორისტული წიგნაკი გადავიკითხე და მეტი სიცილისაგან დაღლილ დაქანცულ-მა კალაშს ხელი მოვკიდე და ვაპირებდი ბიბლიოგრაფიული შენიშვნის დაწერას, რომ ჩემი ოთახი ხალხით გაიქცედა, მერე სულ უცხო ხალხით, ჩემს დღეში ეს ხალხი არ მენახა. ოთახში ყრუ უკმაყოფილებების ხმები ისმოდა. შიშით თავი ჩავლუხე და არ ვაპირებდი ზევით ახედვას, რომ უცხად გვერდში მაგარი მუჯღლუხუნი ვიგრძენი, თავი ავსწიე და გავიხედე. ჩემს წინ იდგა ვიღაც ბაყაყ მდევი, ვეებერთელა კაცი, თვალებს ხარივით აბრიალებდა და ჩემი ბარკლის ოდენა მკლავი მაღლა აეშვირა და ჰაერში იქნევდა. შიშით გული გამისკდა: ვაი თუ დაემშვას ეს ვეებერთელა რამ და ტყლაპივით გამხადოს მეთქი.

— შენ ხარ ყუმბარა? გაისმა გრგვინის ხმა— როგორ გაბედე ჰა? როგორ? ველარ მიცანი? მე ვარ გიორგი მიტმასნაშვილი. შენ მე გამაბიარე, სახალხოთ თავი მომქერი. რათა? რისთვის? ჩემისთანა პარტიის ერთგული კაცი ღუნიაზე მეორე არ არის. მე ვარ რაცა ვარ. შენ კი მომღეჭი და თავზე ლაფი დამასხი. შენის წყალობით პარტიიდან გამოძირიქეს, სამსახურიდან მომხსნეს, რა ვარ მე ეხლა? მითხარი რა ვარ მე ეხლა? აბა თუ ბიჭი ხარ ეხლა გამისწორდი. დაიღრიალა მან და მეორე ხელიც მაღლა ასწია. შიშით გული გამისკდა, აქეთ-იქით თვალი მოვაგეღე, მაგრამ გასაქცევი არსად მქონდა.

— თქვენ სცდებით, მე „ყუმბარა“ არა ვარ—ძლიეს წამოვიკნავლე მე.

— სტყუის! სტყუის! შეიქნა ოთახში ღრიალი.

— მე გამიშვით, მე კარგად ვიცი მგას—მოისმა ბოხი ხმა და უცხად თავს წამომადგა ახმახი კაცი.

— მიცნობ?—დამიცნავის კილოთი დამქყვილა მან— მე ვარ სოსიკო ვაძერენაძე. გეყოფა, რაც ჯლაბზე ჩემზე, ეხლა მე ვიცი სად გაგადერუნ. აბა ერთი მითხარი როდის იყო, რომ ვლესობას მოვთხოვე ბატონდაური, ქათმები, კვერცხები და ვირები კოლექტივში შეეტანათ. შენ მატყუარა ხარ. შენი წყალობით პარტიიდან გამოძირიქეს და ეხლა არავითარ ჩემს მოქმედებაში პასუხს არ ვაგებ.

— გეფიცებით მე არა ვარ.

უცებ ოთახი კაცი ერთათ წამომადგა თავზე და ერთი მეორეს არ აცდიდენ, ისე ჰყვიროდენ.


— მიცნობ? მე ვარ პეტრე პენტურაძე. მე მიცნობ? მე ვარ სიმონ ქებაძე. მე ვარ ყოყოიაძე, მე კინტრაძე. გიჩვენებთ ხეივან ჩვენი გამასხარავებისათვის. შენ ხარ „ყუმბარა“ ჩვენი თავის მომჭრელი. აბა თუ შეგიძლია გავვისწორდი.

— ჩვენ რაღა შუაში ვიყავით შეილო, რომ თავი მოგვჭარი—მოისმა უცხად ტყვილი ხმა. გულს იმედი მომეცა და ზევით ავიხედე. თავს მადგა ორი მღვდელი. ვიფიქრე, ეს არის მეშველა მეთქი და ზეზე წამოვდექი— ჩვენ მღვდლებმა გამოგვეზაგნა დელეგატებით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არც თქვენ და არც ს. თ—ია ერთხელაც არ ყოფილხართ ეკლესიაში და ტყუილად მოგივინეთ, თათბირი ჩვენ მამოჩვენოს ვკითხულობდით ეკლესიაში.

— წმინდა მამებო, თქვენ სცდებით, მე არა ვარ „ყუმბარა“.

— ეგ არის, ეგ! მოისმა საშინელი ყვირილი და მრავალი მუშტი აღიმართა ჰაერში.

— ერთი ეს მიბრძანე, ყმაწვილო, ჩემისთანა პარტიის კაცი შენცა ხარ? რას მიბრძანებ თვალებს? ვერ მიცანი? მე ვარ კოლა ზაუტაძე. მე კოლექტივში თავის დროზე შევიტანე ჩემი ქონება. შენ კი, ვინ იცის, რაებს არ ჩამახავ— ისეთი ხმით დაღრიალა მან, რომ მეგონა ცა ჩამოიხრავდა.



— რას სჩადი ამხანავო! თავს რად იხრებო! მართალია შევ დაფაზე გამოაცხადეს მაგრამ...

— რას მიჭიარავ დაიკარგე აქედან! ხელს ნუ მიშლი, ბავშვებისათვის საქანელა უნდა გავაქეთო!

მეთქი. სტაცა სამეწიწის ხელი და მესროლა. საბედნიეროდ დროზე მოვასწარი მაგიდის ქვეშ შეძრომა, თორემ სულს გამანთხევიებდა.

— არა მე როდის ვყიდი ბელელს? ვერ მიცანი? მე ვარ ალფესა მაშუაძე, მე კიდევ პეტრე ბრძოლაძე, მე ათანასე გაქნილაძე.

მაგიდის ქვეშეიდან გამოძრომას არ ვფიქრობდი.

— გადავარუნოთ მაგიდა—მოისმა მიტმასნაშვილის ხმა, ერთი როგზე მოვსცხოთ მგას, რომ შემდეგში კუჭა ისწავლოს.

მსწრაფლ მაგიდა გადააყირავეს.

— ძმებო! გეფიცებით მე არა ვარ „ყუმბარა“. ის ეხლა ზღვაში ბანაობს. თუ გინდათ იქ წადით, ოღონდ მე კი თავი დამანებეთ.—შევეცდრე მე და თან ნელ-ნელა დიდი ფანჯარისაკენ ვიხედე. ჩემი მანვერი ვერ შეამჩნიეს, იმდენად იყვენ გაბოროტებულნი.

— სტყუის, ეგ არის, ეგ—გაისმა მრისხანე ხმები.

ამ დროს ფანჯარას მივუახლოვდი, ერთი ვისკუმე და მოვკურცხლე. კიდევ შორს მესმოდა ყვირილი: „დაიჭირეთ, არ გაუშვათო“ და მსხერევა-მტერევის ხმა.

ჩემს ოთახს ანადგურებდნენ.

ალმასნი.

ს ც ე ნ ა ტ ე ლ ე ზ ო ნ თ ა ნ

(ზიანთურა)

ცენტრალია? ჰა?! ბარიშნა, გადამაფსკეენი ერთი, ღვდა მუ მოვიკვება, დიომიდე სეფისკეერაძეს. რაიო? ზანიტიაო? აბა, მოუკლი პარატას, მარა ვაგვანებ, ვი-თამ, ბარიშნა, მეორეთ რომ დავერეკო? ჰა? კი? არა მგონია, ვლახა სანდობი ხართ თქვენ. რაიო? უქვე ვანთავისუფლდა? აბა, მიშველე, გადამაბი დიომიდეს, შენ კარტი-ქის დაენაცვლოს მალაქია ხაჭაპურიძე. (რეკავს).

ზოგიერთ დაწესებულებაში



— ჩვენს წარმომებაში ყველაფერი საათივით არის აწყობილი.
— როგორ, საათივით?
— მოშლილია! ვერ ხედავ, რომ მიუხვია ფეხი ღუგლადის ჯორივით და გავქავებულა?

ბოშო, დიომიდე, დიომიდე? მეიხედე აქეთ. ბიჭო, შე ვაფუქებულლო, შე მაიმუნო, შე ციგანო შენა, აფია, ბი-ქო, შენი პირობა, რომე ერთი აღარ ვამეინედე ჩემსკენ! ჰაა? დიომიდე არ ხარ?! აბა, ვინ ხარ? ნაჩ-მილიცია? მინა-ვათ, ჩემო ბატონო, მინავატ!.. რა გვარი ვარ?! მე... ჩე-მო ბა-ტონო... რა ქვიან... იფა... ხო... არ ვიცი ბატონო, ახლა მე რა გვარი ვარ, რატომ არ ვიცი?! ისე, ბატონო... რაიო? რაიო? ლაპარაკი გაათევეო? ვინა ხარ შენე? ბა-რიშნა, ბარიშნა ხარ შენ? იმე, მაცა, ბოშო, ჯერე! ბო-შო, მე ვითხარი დიომიდე სეფისკეერაძეს შემეორეთ თქვა და შენ ნაჩ-მილიციას გადამაფსკეენი?! რალმე გადა-კიდე ხლაფორთს! იმე, შე ქალო, ჯერე დიომიდეს არ დაე-ლაპარაკებინარ და რაფერ გავათავო! მაცა, ვაფიცებ მე შენ კაი ქალობას, ორი კეკალი სიტყვა მათქმით და მერე ვაგვეართე. (რეკავს). ვინ ხარ? დიომიდე ხარ? მადლობა დმურთს, რომ მოგაგენი! რაიო? სად იყავი? იარმუკაში? გამოლმა გამოტუტანიათ იარმუკა ყვირილის პირზე? აწი? დიდი ლოთობა იყო კვირის? რავე, კაცო? გუფეტი გო-უმართავთ მელვინე ვლახებს?!... სად, ბიჭო, სად? ნად კუროი?! ბიჭო, სიდან მელაპარაკები: ქიათურიდან, თუ ტიფლისიდან? ნად კუროი ბუფეტი მე ტიფლისში ვამი-გონია. აბა, სად გოუმართავთ, კაცო არ იტყვი?! მოაბრუ-ნე მე ენა რივიანად. სად? ნად კანალიზაციი? ქერომ ტრუბა ჩამოდის ყვირილაში იქანაა? კაია ერთი ღვდა ნუ მოგეკვება! კაი „გოზღუხზე“ კი გამოსულან! მერე აღ-მასკომი უშობს ამ ლოთობას? სდუმს?! ვერაა მაგი კაი ამბავი! ფართალი ეიღე მუშუკოაში? შენ ყოფილხარ, ბიძია, კომისარი, შენ თუ იქანა შეყავი ცხვირი! მწევანილე-ულობის ადელენიაშიც იყავი? აწი? დამბალ მწევანილს ყრიდენ ყვირილაში? რატომ, კაცო, რატომ? რავე, ცოტას ვერ მეიტანებენ, რომ შეაგუბებს ეს ყვირილა ამდენი რედისკით? მაცა, ბარიშნა, მაცა! დამალაპარაკე ორი კე-კალი სიტყვა ამ ჩემ მოყვარე კაცს! მერე? მერე, თვარა არ გამოგონო მაშინვე მეორეთ, რომ დავერეკო! დიომიდე, დიომიდე! მეიხედე აქეთ.. ბარიშნა, ბარიშნა!.. რავე ინ-ტერენი ადგილზე გამაწყვეტიე ლაპარაკი, შენ ვაგოყდა სახელი! ვანიკა ყიფშიძესთან მანდოდა ლაპარაკი და რომ აღარ მაცალა ამ სახლკარ ამოსაბუგავმა!.. სმოლოქი!..

გოგია.

ლია ჟირილი ვანო კომახიძეს

ხალაში ვანოს! რას შევბი ბიჭო! შენ აგი ვანო კომახიძე არა ხარ, 1927 წელში, რომ მიწა გაყიდე? ამის შემდეგ ტფილისში სამსახურის დროს, რომ ორი ბოქვა ტარანი „გაი-მასქენი“ და სოფელ ტაბანათის (სუფსა) მცხოვრებლებს რომ მიყიდე, ვერ გიცანი ბიჭო! შენ ის ვანიკო არა ხარ, ბათუმის სავაღდმუყოფოში სამ-სახურის დროს რომ ამოიტანე სუფსაში სავაღდმუყოფოს ინფენტარი (ზე-წრები და სხვ.) და მიყიდე ვალიკო ჟღენტს, ერთი თვის შემდეგ, კი ისევ

გამოისყიდე და დაუბრუნე სავაღ-დმუყოფოს?! ეხლა ბიჭო ვილატებებს „წითელ ჰა სადილოს“ გამგეთ აურჩევხარ და შენც არ ჰამო ბიჭო სირცხვილი იმ „მწყალობელ ხელთან“, ვინც ეს „სახრავი“ საქმე მოგიწყო. ის კი ხა-მადლო საქმე გიქინა ბიჭო, რომ შე-ნი მეზობელი ვასილი. მიგიღია მზარეულად, ვასილი ცნობილი კა-ცია; ყველა პარტივსა სცემს. მისზე ლექსიც კი გამოსთქვამს

„ვასილ ბაში, ყიზილ ბაში, ღვინოს ყიღდა ზიდის თავში. იქ ხვირი რომ ვერ ნახა, ჩამოვიდა ტაბანათში. აქაც ველარ იხვირა. ეხლა მიდის კაქარაში“-ო. შე ვფიქრობ, რომ მე ვასადილო-ში მაინც ნახავს ხვირს და აღარ დას-ქორდება კაქარაში (სოფელია) წასე-ლა... თუ ღროზე არ აგიწევს ორი-ვე ვაქბატონს კულის რიკი.

ი. სუფსელი.



სამუდამოდ ბუღოგლული და გაუბედურებული ზირისუფლები: ბაროზ მენუშვიტაძე, ნიკო ოპორტუნისტიშვილი, კავლე ვაჭარაძე, გედომონ კონტრაძე, ლუბა პრინცესაშვილი, ლევან ემიგრანტინი და ფრანც ინტერპენსიანი აუწყებენ საზოგადოებას, რომგარდანიცვალა მათი მტად-მტრი ნუგაფი-ხუთფლედის პირველი ორი წლის სანაშობო განგის ჩაჟიდა

იქველი

სანაშობი ყოველდე, ხუთფლედის დასრულეგამდე

გოგოგრი

სამ-შვილს (საგუგახო).

თქვენს სოფელში ალბად ბიპო, რადგან მეტად დატბა, თავში „ბუზი“ შეგფრინდა, გსურდა გეთქვა რაცბა. დომხალი რომ გამოვიდა, შიგ აზრი ვერ ვნახეთ, და შარსრუტით, პირდაპირით გოდირს გადუბხეთ.

ბიტოს (აქვე). თქვენი „ლექსი“ ასე იწყება:

„ვერ ავიტანე ტარტაროზო, სარტრფოს ოაოატი, ნეტავი მომცა თოლხო კვერცხი ურთი კალათი“.

არ გბქეს და მაინც ლექსების გრიგალს აყენებ და რომ გქონდეს, სულ წაგილექებით შენი „ხმა საამურით“. მთავარში მაინც გეთანხმებით: კვერცხების ლალატს სარტრფოს ლალატი სჯობია.

გუგაულს. (ქუთაისი) მოგვეყვას ნაწვევტი თქვენს გალიქსილ ეპოპეიდან:

„ჩემი ცოლი წამეჩხუბა ამეკიდა კატიე, წყალტუბოში წავიყვანე ლამე ვარეთ ფათიე“.

ბიტა პოეტურ გუნებაზე რომ დამდგაზხარ

კოდალას. (სამტრედიე). სოფ. წიაღობნის შრომის

სკოლას მასწავლებლის ნიკიტას შესახებ გვატყობინებთ:

„წიაღობნის შრომის სკოლას მასწავლებლობს ნიკიტა, ის რომ მოწაფეებს სცემდა მე გული ამიტირდა...“

ვერ ყოფილბართ მაინცდა მაინც დიდი „მებრძოლი“ ტრილით რას უშველი? მართალია მოწაფის ცემა მასწავლებლისაგან სატირალი საქმეა, მაგრამ სამფეერთო თუ ეს ფაქტი დადასტურდა, ნიკიტას განათლების განყოფილება „გაატივებს“.

ს-ს (კასპი) არტელის შესახებ გვატყობინებთ:

„ტარტაროზო ვაიციანი ჩვენი არტელის ბუნება დროზე თუ არ გაიწმინდა

ელის განადგურება“.

ემის მიხეზი ჭი ის ყოფილა, რომ: „კულაკები შეიპარენ უყვართ მგლური თარში ლარიბ გლეხებს უტყერიან შეხაქმელად თვალემა“.

სამწუხარო ამბავია, მაგრამ ადვილად დასაბუღევი! კულაკებს არტელში მიღებაა მწელი, თორემ გამობრძინება ოლიო საქმეა.

ჩაზიაროს (ღანჩხეთი) სურათები საურთაოდ კარგად არის შესრულებული, მხოლოდ მუქი და ერთფეროა, რის გამოც დასაბუღელთ არ გამოდგება.

№ 345
1930

გ ა ჯ ბ ი ლ ე ბ უ ლ ნ ი :

„არის შემთხვევები, როცა კოოპერატიული ღუქნების გამგეები, რომლებსაც დავალებული აქვთ გლეხები-საგან პურის მიღება, თავის ნებით კეტავენ ღუქნებს დასაქვიფოთ მიღიან“.

(აზხ. ფ. მახარაძის წერილიდან).



სსსრ კავშირების საბჭოთა
 აკადემიის
 სახელმწიფო
 ბიბლიოთეკა-მუზეუმი
 იმენი
 ი. გრეშინსკი
 სსსრ კავშირების საბჭოთა
 აკადემიის
 სახელმწიფო
 ბიბლიოთეკა-მუზეუმი
 იმენი
 ი. გრეშინსკი

— დიდიდან ამ რიგში ვდგავართ და ჩვენი მიზლები კი არსად სჩანს.
 — ვში ის ახლა ალბად სადმე ქვიფოვს და ჩვენი მიღების ნაცვლად ღვინოს დებულობს!